მოწვევა სატენდერო წინადადებების მიღების თაობაზე

საქართველო

კომუნალური ინფრასტრუქტურა გარემოსა და ტურიზმის გაუმჯობესებისათვის - იმერეთის რეგიონი

ICB No. IM-2/Y1-WWTP_LSC, ვანი, ბაღდათი, საირმე

KfW შესყიდვის № 511069

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ (წყალმომარაგების კომპანია) მიიღო დაფინანსება KfW-საგან კომუნალური ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად გარემოსა და ტურიზმის გაუმჯობესების მიზნით იმერეთის რეგიონში. წყალმომარაგების კომპანია გეგმავს, გამოიყენოს ამ დაფინანსების ნაწილი კონტრაქტის - *IM-2/Y1-WWTP_LSC ვანი, ბაღდათი და საირმე* - დასაფინანსებლად.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (წყალმომარაგების კომპანია) იწვევს პრეტენდენტებს, წარმოადგინონ დალუქული სატენდერო წინადადებები შემდეგი სამუშაოების დასაპროექტებლად, მოსაწოდებლად და მოსაწყობად (შენიშვნა: სია არ არის საბოლოო):

ვანის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა:

- წარმადობა დაახლოებით 3,000 m^3/დღე;
- პირველადი გაწმენდა წვრილი ფილტრებითა და ქვიშ-ცხიმ-დამჭერით;
- წყლის გაწმენდა: მჟანგავი არხი და თანადროული დენიტრიფიკაცია;
- ლამის დამუშავება: სტატიკური შესქელება და მცენარეული სალამე მოედნები.

ბაღდათის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა:

- წარმადობა დაახლოებით 3,500 m^3/დღე;
- პირველადი გაწმენდა წვრილი ფილტრებითა და ქვიშ-ცხიმ-დამჭერით;
- წყლის გაწმენდა: მჟანგავი არხი და თანადროული დენიტრიფიკაცია;
- ლამის დამუშავება: სტატიკური შესქელება და მცენარეული სალამე მოედნები.

საირმის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა:

- წარმადობა დაახლოებით 600 m^3/დღე;
- პირველადი გაწმენდა წვრილი ფილტრებითა და ქვიშ-ცხიმ-დამჭერით;
- წყლის გაწმენდა: MBBR-IFAS
- ლამის დამუშავება: ლამის გაუწყლოება.

ვანის სერვისცენტრი

- ახალი სერვისცენტრის ოფისების, შეხვედრების ოთახის, ლაბორატორიის, საწყობის, სახელოსნოს, ა.შ. პროექტირება-მშენებლობა.

ბაღდათის სერვისცენტრი

- ახალი სერვისცენტრის ოფისების, შეხვედრების ოთახის, ლაბორატორიის, საწყობის, სახელოსნოს, ა.შ. პროექტირება-მშენებლობა.

ჯამური სავარაუდო ღირებულება - EUR 11,660,000.00

ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო კონკურენტუნარიანი სატენდერო პროცედურითა და კვალიფიკაციით, რომელიც მოთხოვნილია KfW-ს შესყიდვების სახელმძღვანელოთი („სახელმძღვანელო“).

ევროკავშირის სანქციების გათვალისწინებით (მათ შორის 833/2014 რეგულაციის მუხლი 5ლ) KfW-ს მიერ დაფინანსებულ ტენდერებში მონაწილეობის მიღება ეკრძალებათ პრეტენდენტებსა და მომწოდებლებს, რომლებიც იმყოფებიან ან დაარსებულნი არიან რუსეთის ფედერაციაში. ეს ეხება პრეტენდენტის ყველა მხარეს თუ პრეტენდენტი ერთობლივი საწარმოა და თითოეულ ქვეკონტრაქტორს.

პრეტენდენტსა და პრეტენდენტის შემადგენელ ყველა მხარეს უნდა ჰქონდეთ დაშვებული ქვეყნის მოქალაქეობა მე-5 სექციის მოთხოვნების შესაბამისად (დაშვების კრიტერიუმები). ითვლება, რომ პრეტენდენტს აქვს ქვეყნის მოქალაქეობა, თუ პრეტენდენტის ამ ქვეყნის მოქალაქეა, დაარსებულია ამ ქვეყანაში და მუშაობს ამ ქვეყნის კანონების შესაბამისად. იმავე კრიტერიუმით განისაზღვრება კონტრაქტით გათვალისწინებული ნებისმიერი სამუშაოსათვის, მათ შორის მომსახურებებისათვის შემოთავაზებული ქვეკონტრაქტორებისა და მომწოდებლების მოქალაქეობა.

დაინტერესებულ და დასაშვებ პრეტენდენტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და სრულყოფილი სატენდერო დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე უფასოდ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე წერილობითი შეტყობინების გამოგზავნით:

info.procurement@water.gov.ge

ყველა ელექტრონული შეტყობინების ასლში უნდა იყოს:

e.piranishvili@water.gov.ge

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის ITB 22.1 მუხლში მითითებულ მისამართზე არა უგვიანეს 2025 წლის 03 ივნისის 15:00 სთ-მდე (საქართველოს დრო). დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ KfW-ს სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაცია შეიცვალა და ახლა წარმოადგენს ერთეტაპიან პროცედურას, რომლის მიხედვითაც ტექნიკური სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს პირველ კონვერტში.

შესაბამისად, პირველ საჯარო შეხვედრაზე საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და ტექნიკური სატენდერო წინადადებები გაიხსნება პრეტენდენტების უფლებამოსილი წარმომადგენლების თანდასწრებით. მეორე საჯარო შეხვედრაზე გაიხსნება იმ პრეტენდენტების ფინანსური სატენდერო წინადადებები, რომლებმაც დააკმაყოფილეს საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნები.

ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების გარანტია.